

შ.პ.ს. „ლიტოფონი 2012“

ს/კ-412685786

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	2
. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება.....	4
. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
. კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7-11
4. ძირითადი საშუალებები.....	11
5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	12
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	12
7. ნეტო ამონაგები.....	12
8. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	12
9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები.....	13
10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	13

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ლიტოფონი 2012“-ის 2020 წლის ფინანსურ მდგომარეობას, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას, დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

შპს „ლიტოფონი 2012“

ს/კ 412685786

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2020	31/12/2019	1/1/2019
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	486677	400230	392192
სავაჭრო მოთხოვნები	29032	40257	53915
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	55127	28882	23428
მარაგები	441385	518786	497788
- მზა პროდუქცია	125123	128029	140178
- სხვა	316262	390757	357610
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	391	543	436
ძირითადი საშუალებები	937188	1010994	1033232
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	1949800	1999692	2000991

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	1867	1992	1662
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10382	11092	9335
საგადასახადო ვალდებულებები	12077		10180
გამოუმუშავებელი შემოსავალი	2553	2397	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	50	39421	53154
სულ ვალდებულებები	26929	54902	74331

საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	566813	566813	566813
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	245188	267107	75694
გადაფასების რეზერვი	788059	788059	961342
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	322811	322811	322811
სულ საკუთარი კაპიტალი	1922871	1944790	1926660
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1949800	1999692	2000991

ფორმა N2- მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2020	2019
ნეტო ამონაგები	491678	659649
საქონლის გაყიდვიდან	468623	634763
მომსახურების გაწევიდან	23055	24886
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-247870	-372643
საწყისი მარაგები	518786	497789
მარაგების შესყიდვა	170469	393640
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	441385	518786
საერთო მოგება	243808	287006
დასაქმებულთა ანაზღაურება	-154607	-162585
ცვეთა და ამორტიზაცია	-25098	-19197
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-54983	-49600
სულ საოპერაციო ხარჯები	-234688	-231382
საოპერაციო მოგება	9120	55624
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
საპროცენტო შემოსავალი:	9130	7567
საპროცენტო ხარჯი :		
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	24588	11043
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალი	144816	27994
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	8632	1801
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	196286	104029
მოგების გადასახადი		-14774
მოგება/(ზარალი)	196286	89255
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	196286	89255
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1944790	1926660
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-218205	-71125
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		173283
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-173283
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1922871	1944790

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	52729	-10572
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	9130	7567
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	61859	-3005
სავალუტო კურსის ეფექტი	24588	11043
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	400230	392192
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	486677	400230

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2020წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნები	დამფუძნებლის შენატანი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	მოხმარების და დაგროვების ფონდი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
01.01.2019 ნაშთი		566813	961342	322811	75694	1926660
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება						0
გადაფასების რეზერვის ზრდა/შემცირება			-173283			-173283
გაუნაწილებელი მოგება-ზარალის ზრდა/შემცირება					102158	102158
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი					89255	89255
31.12.2019 ნაშთი		566813	788059	322811	267107	1944790
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება						0
გადაფასების რეზერვის ზრდა/შემცირება						0
გაუნაწილებელი მოგება-ზარალის ზრდა/შემცირება					-218205	-218205
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი					196286	196286
31.12.2020 ნაშთი		566813	788059	322811	245188	1922871

შპს „ლიტოფონი 2012“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლიტოფონი 2012“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2012 წლის 7 აგვისტოს, რეორგანიზაციის შედეგად, გამოეყო „სს ქუთაისის ლიტოფონის ქარხანას“. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 412685786. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქუთაისი, წერეთლის ქუჩის № 192.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანია არ გააჩნია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა ალკიდური გრუნტების, ემალისა და წყალ-დისპერსიული საღებავების დამზადება და რეალიზაცია.

მზა პროდუქციის რეალიზაციის გარდა, კომპანიას გარკვეული შემოსავლები აქვს ძირითადი საშუალებების იჯარიდან და სხვადასხვა მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციიდან, ასევე ფიქსირდება შემოსავლები თავისუფალი სახსრების საბანკო ანგარიშზე განთავსებიდან.

კომპანიის მეწილეები: 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში კომპანიის მეწილეები არ შეცვლილა:

50%-ს ფლობს კონსტანტინე მანჯგალაძე პ/ნ - 60001006593.

50%-ს ფლობს თეიმურაზ მანჯგალაძე პ/ნ - 60002009932.

კომპანიის დირექტორია ვალერი მანჯგალაძე, პ/ნ - 60002000010.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ციფრული ფორმების შევსების ერთეულია ლარი. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 . ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისაგან და რეზიდენტ ბანკში არსებულ ანგარიშებზე განთავსებული ფულის ნაშთისაგან.

3.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“-ის გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3.2766	4.0233
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.8677	3.2095

3.3.შემოსავლების აღიარება

ჩვენს მიერ შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მყიდველზე საქონლის მიწოდებისთანავე, ანუ მასზე საკუთრების უფლების გადაცემისთანავე.

მომსახურების გაწევიდან და იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების (იჯარის) ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

3.4. ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან.

3.5. ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

3.6. იჯარა

ჩვენს შემთხვევაში იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ მიაწოდა საქონელი ან გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.9. მიღებული ავანსები

კომპანიის ბალანსზე რიცხული მიღებული ავანსები წარმოდგენილია „გამოუმუშავებელი შემოსავლების“, მუხლში.

3.10. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის დაწესება ხდება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ჯგუფი	წლიური ამორტიზაციის ნორმა
შენობა-ნაგებობები	20-30 წელი
მანქანა-დანადგარები	3-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-10 წელი
ავეჯი და ინვენტარი	1-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-8 წელი

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. კომპანია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების გადახედვას ახდენს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

3.11. არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით.

3.12. მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.13. გადასახადები

. მოგების გადასახადი

კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად «ესტონურ მოდელზე» გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების გაცემისთანავე.

დამატებული ღირებულების გადასახადი

იმ შემთხვევაში, თუ შემოსავალი, ხარჯები და აქტივები მიეკუთვნება დღ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, მათი აღიარება ხდება დამატებითი ღირებულების გადასახადის თანხის

გამოკლებით. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი აღიარება ხდება სრული ღირებულებით.

. საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%.

3.14. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით. კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით, საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ისე, რომ შეძლოს დამფუძნებლებისთვის მოგების მიცემა.

გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი მოიცავს ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებულ მოგება/ზარალს.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუდგმელი მოწყობილობა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	საოფისე ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები
თვითღირებულება						
1 იანვარი 2020 წელი	615990	1023	376180	46152	8359	37426
შემოსვლა				385		
გასვლა	48298		4867	553		
31 დეკემბერი 2020 წელი	567692	1023	371313	45984	8359	37426
დაგროვებითი ცვეთა						
1 იანვარი 2020 წელი		614	38110	9489	4951	20971
წლიური ცვეთა		102	10367	3467	1285	5253
31 დეკემბერი 2020 წელი	0	716	48477	12956	6236	26224
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020 წელი	567692	307	322836	33028	2123	11202

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ნაშთი წლის ბოლოს	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული სალაროში	333	633
ფულადი სახსრები ბანკში	486344	399597
სულ ფულადი სახსრები	486677	400230

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
სულ ჯამი	441385	518786
საქონელი	7447	7814
ნედლეული და მასალები	245271	311178
დაუმთავრებელი წარმოება	0	0
მზა პროდუქცია	125123	128029
სხვა	63544	71765

7. ნეტო ამონაგები

	31.12.2020	31.12.2019
ჯამი:	491678	659649
საქონლის გაყიდვიდან	468623	634763
მომსახურების გაწევიდან	23055	24886

8. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	31.12.2020	31.12.2019
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	247870	372643

9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	31.12.2020
ჯამი	54983
ტრანსპორტირების ხარჯი	1050
საწვავის ხარჯი	2032
კომუნიკაციის ხარჯი	1486
სხვა საგადასახადო ხარჯი	28311
მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯი	9294
ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურების ხარჯი	7000
საბანკო მომსახურების ხარჯი	787
სხვა საერთო ხარჯი	5023

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსის პანდემიამ სერიოზული ზიანი მიაყენა ჩვენს კომპანიას 2020 წელს და ის აგრძელებს უარყოფით ზეგავლენას 2021 წელშიც (წარმოებული იქნა საღებავები: 2019 წელს - 117.3 ტონა, 2020 წელს - 74.8 ტონა, ხოლო მიმდინარე წლის 8 თვეში - მხოლოდ 48.3 ტონა), ერთეულ პროდუქციაზე ფასების ზრდა, სავარაუდოთ, შესაძლებლობას მოგვცემს თანხობრივ გამოხატულებაში შევინარჩუნოთ მინიმალური ზრდის ტემპი. აღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლით, რომ კომპანია შეძლებს გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

საანგარიშგებო წლის შემდეგ სხვა მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

შპს „ლიტოფონი 2012“-ის დირექტორი

ვალერი მანჯგალაძე